



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა
და კულტურის სამინისტრო
(პროგრამული კოდი: 06 00)

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

სარჩევი

1 . პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	3
1.2.1 აქტივების აღრიცხვა	3
1.2.2 გრანტები	4
2. სხვა გარემოებები	5
2.1 სახელმწიფო შესყიდვები	5

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 აქტივების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოებები

- 2017 წელს სამინისტრომ ჯამში მიიღო 179,955.27 ლარის ღირებულების (სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ - 179,555.27 ლარი, შესყიდვით - 400.00 ლარი) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი, რომელთა გასვლა აღირიცხა „სხვა ხარჯების“ მუხლში. როგორც დადგინდა, ზემოაღნიშნული აქტივებიდან 164,649.00 ლარის ღირებულების აქტივები გადაეცა სსიპ - საჯარო სკოლებს (შემდეგში - სკოლები) და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (შემდეგში - რესურსცენტრი), ხოლო 15,306.27 ლარის ღირებულების აქტივები დარჩა სამინისტროს განკარგულებაში. დადგენილი კანონმდებლობის თანახმად, სკოლებსა და რესურსცენტრზე (სხვა სახელმწიფო ერთეულებზე) გადაცემული აქტივების გასვლა უნდა აღრიცხულიყო „გრანტების“ მუხლით, ხოლო გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება, როგორც გასვლა - „საქონელი და მომსახურებით“. ამდენად, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, ფორმა №3-სა და ფორმა №5-ში მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების გასვლის შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილი იყო არაზუსტად და არასწორად.
- 2017 წელს სამინისტრომ შეიძინა და სხვა სახელმწიფო ერთეულისგან უსასყიდლოდ მიიღო ჯამში 42,349.91 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგი, რომელთა გასვლა გატარდა „სხვა ხარჯების“ მუხლში. როგორც გაირკვა, ზემოაღნიშნული აქტივებიდან 25,210.50 ლარის ღირებულების მარაგები უსასყიდლოდ გადაეცა საჯარო სკოლებს და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციას (სხვა სახელმწიფო ერთეულებს), ხოლო 1,965.60 ლარის ღირებულების მარაგები სამინისტრომ გამოიყენა (გამართული ღონისძიებების ფარგლებში) საკუთარი მიზნებისთვის. დადგენილი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ერთეულებზე გადაცემული მარაგები უნდა აღრიცხულიყო „გრანტების“ მუხლით, ხოლო საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მარაგები უნდა ასახულიყო, როგორც გასვლა - „საქონელი და მომსახურებით“. ამრიგად, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, ფორმა №3-სა და ფორმა №5-ში მარაგების გასვლის შესახებ ინფორმაცია ნაჩვენებია იყო არაზუსტად და არასწორად.

რეკომენდაცია №1

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბუღალტრული კორექტირებების საფუძველზე განხორციელდეს გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და მატერიალური მარაგების გასვლის (ხარჯის) ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2-ში, №3-ში და №5-ში) სწორად ასახვა.

1.2.2 გრანტები

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს დამტკიცებული ქვეპროგრამის (კოდი: 06 07 10) „ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციის“ ფარგლებში სამინისტრომ აუდიოდისკის - „მაესტროს“ გამოცემის დაფინანსების მიზნით, კაპელას ჩაურიცხა 2,350.00 ლარი. საკასო ხარჯი გაწეულ იქნა საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლით (263221) „მიმდინარე გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-ს / ა(ა)იპ(ბ)-ს“. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ რეგისტრებში დებეტი (7600) „გრანტების“ ნაცვლად, არასწორად გატარდა მუხლში - (1431) „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, (1250) „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“ კრედიტთან მიმართებაში. ვინაიდან დაფინანსების ფარგლებში ჩასაწერი დისკი უნდა დარჩენილიყო კაპელის საკუთრებაში (ბალანსზე), გაწეული გრანტი სამინისტროსთვის წარმოდგენდა როგორც საკასო, ისე ფაქტობრივ ხარჯს. თუმცა, განხორციელებული გრანტი ბალანსის დანართ ფორმა №2-ში ფაქტობრივ ხარჯად არ ასახულა, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში - 2,350.00 ლარი არასწორად აღირიცხა მუხლში - (1431) „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, რომელიც შინაარსობრივად არ შეესაბამებოდა განხორციელებულ ოპერაციას. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში, ფორმა №7-სა და ფორმა №9-ში ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - ფაქტობრივი ხარჯების შესახებ, წარმოდგენილი იყო არაზუსტად და არასწორად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაცია წმინდა ღირებულების შესახებ გაზრდილი იყო 2,350.00 ლარით.

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას

რეკომენდაცია №2

ბუღალტრული კორექტირებების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმებში №2-ში, №3-სა და №5-ში) განხორციელებული გრანტის სათანადოდ აღრიცხვა და დებიტორული დავალიანებების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა.

2. სხვა გარემოებები

2.1 სახელმწიფო შესყიდვები

2017 წელს გაფორმებული 299 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 2 შემთხვევაში, ხოლო ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი (მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშვაქტურა) 414 დოკუმენტიდან 144 (ანუ 34.8%) შემთხვევაში, დარღვეული იყო შესაბამის ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტების ატვირთვის ვადები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამოვლენილ ფაქტებს ფინანსური შედეგების კუთხით რაიმე გავლენა არ ჰქონია, ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის დროულად შეტანა, რაც ქმნიდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად განკარგვის რისკებს.

რეკომენდაცია №3

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების და ხელშეკრულების შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა განხორციელდეს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მოთხოვნილ ვადებში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE